

კონკურსი ლექსიკოგრაფიაში

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულება და თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი აცხადებენ კონკურსს ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში ინგლისურ-ქართული სალექსიკონო სიტყვა-სტატიების შედგენაზე.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, რომელთაც მოსმენილი და ჩაბარებული აქვთ საგანი „ლექსიკოგრაფიის საფუძვლები“.

თითოეულმა კონკურსანტმა უნდა შეადგინოს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული 5 სიტყვა-სტატია.

კონკურსის მონაწილე სტუდენტებს დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქტორები ჩაუტარებენ ტრეინინგებს პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიაში და გადასცემენ საკონკურსო დავალების შესასრულებლად საჭირო ლექსიკოგრაფიული მასალის სრულ კომპლექტს.

საკონკურსო კომისია გამოავლენს სამ გამარჯვებულ სტუდენტს, რომელთათვისაც დაწესებულია შემდეგი პრიზები:

პირველი ადგილი - 200 ლარი, უვადო ხელმოწერა დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონზე (www.dict.ge) და დ. რეიფილდის დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია დისკზე;

მეორე ადგილი - 100 ლარი, უვადო ხელმოწერა დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონზე (www.dict.ge) და დ. რეიფილდის დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია დისკზე;

მესამე ადგილი - უვადო ხელმოწერა დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონზე (www.dict.ge) და დ. რეიფილდის დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია დისკზე.

კონკურსის მონაწილე ყველა სტუდენტი მიიღებს სერტიფიკატს.

კონკურსის ჩატარების ვადები:

კონკურსის მსურველმა სტუდენტებმა შევსებული განაცხადის ფორმა 2015 წლის 30 დეკემბრამდე უნდა გამოაგზავნონ შემდეგ მისამართზე: konkursi@dictionary.ge.

ტრენინგები პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიაში ჩატარდება 2016 წლის თებერვალში, გამოცდების დასრულებისთანავე და კონკურსანტებს გადაეცემათ საკონკურსო დავალება.

შედგენილი სიტყვა-სტატიების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 25 მარტი.

კონკურსის შედეგების გამოცხადება - 2015 წლის 25 აპრილი.

სტუდენტების დაჯილდოებისა და სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალის თარიღი დამატებით გამოცხადდება.

კონკურსი ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში

განაცხადის ფორმა:

1. სახელი, გვარი
2. მიმართულება, კურსი, ჯგუფი;
3. საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომრები).